# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 102/გ

ქ. მცხეთა

29 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ავთანდილ დავლიანიძე“, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 პლასტმასის სათლის შესყიდვა-5.50 ლარი. CPV39224330
1.2 ვენტილატორის შესყიდვა -38 ლარი. CPV39714100
1.3 ტენტის და თოკის შესყიდვა-49 ლარი. CPV39500000.
(ინვოისი თან ერთვის)

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 92.50 (ოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

## 4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში განსაზღვრულ ვადაში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსი გიორგი ბროძელი.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 30 მარტის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

ი/მ „ავთანდილ დავლიანიძე"
ს/კოდი: 31001005329
ბანკი: „საქართველოს ბანკი"-ს ფილიალი
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE45BG0000000317131800

მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ. № 108

ინდ/მეწარმე

ა. დავლიანიძე

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აზესამე